საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №1
2023 წლის 12 იანვარი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 08.12.2008 წ., №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ტარიფი

1. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ოპერირების ფიქსირებული ტარიფი – სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ოპერირების ტარიფი – 0.019 თეთრი/კვტსთ.

2. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ოპერირების საფასური ანაზღაურდება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად.“.

2. 5^2 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^3 მუხლი:

„მუხლი 5^3. საბითუმო საჯარო მომსახურების საფასური

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

საბითუმო საჯარო მომსახურების საფასური 0.030 თეთრი/კვტ.სთ – ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზრის ამოქმედებიდან 2024 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**